3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს “მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლთა რეაქციული მონიტორინგის 2004-2005 წ.წ. პროგრამა” – “ქალაქ-მუზეუმ-ნაკრძალ მცხეთის ისტორიული ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის ანგარიში. პროგრამის კონსულტანტი.
4. “სამხატვრო აკადემიის საფონდო კოლექციების შესწავლა – რეაბილიტაცია და პოპულარიზაცია”. პროგრამის ავტორი. 2009 წ. მაისი ივლისი შექმნის დრო.
5. „ბორჯომი ხელოვნების ქალაქი“ იდეა. ავტორი ხელმძღვანელი. 2009

6. მუსიკალური საღამოები სამხატვრო აკადემიაში. 2009 – 2011 წ.
ორგანიზაცია – კურაცია.

7. „საქართველოს რეგიონალური მუზეუმების კოლექციების გამოფენები
სამხატვრო აკადემიაში“

განხორციელებული პროექტები

- 1) პროფ. ალ. კალანდაძის არქივისა და მის მიერ გათხრილ-შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების (სამთავროს სამაროვნის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები) სასტამბოდ მომზადება და გამოცემა (სამ ტომად). პროექტის კურატორი. 1980-1984 წ.წ.
- 2) არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ქ. მოსკოვში განხორციელებული საგამოფენო პროექტის “არქეოლოგია და თანამედროვეობა” მონაწილე. ბრინჯაოს მედლის ღაურვატი. 1981 წ.
- 3) ქ. მოსკოვში ჩატარებული საკავშირო გამოფენის მონაწილე. 1982 წ.
- 4) საგამოფენო პროექტი “მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან”. ქართული კულტურის ცენტრი “მზიური”. იდეა. პროექტი, საექსპოზიციო დიზაინი. გამოფენის დირექტორი. 1991 წ. 27 მაისი - 20 აგვისტო.
- 5) ს-პეტერბურგის ტრადიციული საერთაშორისო გამოფენის “ხალხური გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნება”. ქართული ექსპოზიციის დიზაინი და ორგანიზაცია. 1992 წ.
- 6) გამოფენა – ქართული კერამიკა – ისტორია და თანამედროვეობა”. მოსკოვი. რუსეთის ხელოვნების ბიბლიოთეკის საექსპოზიციო დარბაზი. იდეის, პროექტისა და დიზაინის ავტორი. გამოფენის პროექტი, საექსპოზიციო დიზაინი. ორგანიზატორი. 1994 წ.
- 7) მოსკოვის მუზეუმებსა და არქივებში დაცული კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი საქართველოდან”. – გამოფენა, მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი. მოსკოვი. რუსეთის თანამედროვე ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმი. 15 აპრილი – 7 ივლისი 2000 წ. იდეა. პროექტი. დიზაინი. გამოფენის დირექტორი.
- 8) წმ. მთავარმოწამე გიორგის მოსკოვის ქართული ეკლესიის 250 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების პროექტის თანაავტორი. 2000.
- 9) პროექტი “არმაზისხევის ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაცია-კონსერვაცია” I. მაი-ს ბაზის (მემორიალური შენობის) აღდგენა. პროექტის ავტორი. 1998 წ.
- 10) “ქართული კულტურა – პრობლემები და პერსპექტივები”. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფ-ტისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია. I – 1999 წ. II – 2000 წ. თბილისი – მცხეთა. იდეა. პროექტი. ორგანიზაცია.
- 11) გამოფენა “დიდი მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები”. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი. კონცეფცია. დიზაინი. 2001 წ.

- 12) გამოფენა – “დიდი მცხეთა ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში”. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო კომპლექსი სვეტიცხოვლის კათედრის მასლობლად. კონცეფცია. დიზაინი. 2001 წ.
- 13) გამოფენა – “დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი”. იქვე. კონცეფცია. დიზაინი. 2002 წ.
- 14) გამოფენა – “დიდი მცხეთა – ქართლის სამეფოს დედაქალაქი”. (ძვ. წ. I ათასწ. მე-2 ნახევარი – ახ.წ. III-IV ს.ს.). იდეა. კონცეფცია. დიზაინი. 2003 წ.
- 15) “საქართველოს სამუზეუმო კოლექციების გამოფენები მცხეთაში”. I. “თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიცია”. იდეა. კონცეფცია. დიზაინი. (ნ. ღლონტთან და ბ. გარსევანიშვილთან თანაავტორობით). 2004 წ.
- 16) დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცული ლითონმქანდაკეობის ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაცია. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი.
- 17) მცხეთის სამაროვნებზე მოპოვებული ოქროს ნაკეთობების ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი. 2002-2004 წ.წ.
- 18) რესტავრირებული ლითონმქანდაკეობის ძეგლების გამოფენა. მუზეუმ-ნაკრძალის სათაო შენობა. კონცეფცია. დიზაინი. (ნ. ღლონტთან და ე. სოყურაშვილთან ერთად). 2004 წ.
- 19) მუზეუმ-ნაკრძალის საექსპოზიციო ვიტრინების დიზაინი და დაპროექტება. 2002-2005 წ.წ.
- 20) “აღმოაჩინე მინა ქართული”. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ს.ს. “მინის” ერთობლივი საგამოფენო პროექტი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის, გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმების კოლექციების გამოყენებით. იდეა. კონცეფცია. დიზაინი. (ნ. ღლონტთან, ნ. მაისურაშვილთან, თ. გიუტაშვილთან და ე. სოყურაშვილთან თანაავტორობით). 2005 წ.
- 21) “მედვინეობის ტრადიციები საქართველოში”. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ერთობლივი საგამოფენო პროექტი. პარტნიორები: ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში, ს.ს. “მინა”, შ.პ.ს. “ნობელიქსი”, შ.პ.ს. “მუხრანის ველი”, შ.პ.ს. “ბაგრატიონი”, შ.პ.ს. “ვაინ მენი”. გამოფენა ჩატარდა პროგრამის “ევროპული მემკვიდრეობის დღეები - 2006” ფარგლებში. იდეისა და პროექტის ავტორი. მცხეთა. 2006 წ. ოქტომბერი.
- 22) “მინერალოგია, სამთამადნო საქმე და ლითონმქანდაკეობა საქართველოში – უძველესი დროიდან დღემდე”. დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის, შ.პ.ს. კვარციტისა” და შ.პ.ს. “მადნეულის” ერთობლივი საგამოფენო პროექტი. იდეისა და პროექტის ავტორი. 2007 წ.
- 23) დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ – ნაკრძალის ანტიკური ხანის ძეგლების გამოფენა. 2008 წ.
- 24) სამთავროს ველზე ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების გამოფენა. 2008 წ.
- 25) სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის ბაკალავრთა და მაგისტრანთა მიერ დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ – ნაკრძალის ლითონმქანდაკეობის, თიხისა და მინის ძეგლების აღდგენილი ნიმუშების გამოფენა. 2008 წ.

25. ძველი ოსტატები-თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფონდებში დაცული ძველი ფერმწერების (გ.გაბაშვილი,ე.ახვლედიანი,თბალანჩივაძე,ლონგო ...) ნამუშევრების გამოფენა თიბისი ბანკის საგამოფენო სივრცეში. 2009 წ. სექტემბერი

26.ხელოვნების ფესტივალი “ნუა-ბორჯომი” I ფესტივალი 25-27 იანვარი.

27. ხელოვნების ფესტივალი “ნუა-ბორჯომი” II ფესტივალი. 25 მაისი – 4 ივნისი 2010 წ.

28.რესტორან მცხეთა-სიტის დარბაზის არქეოლოგიური ექსპოზიცია- 2010 წ.მაისი-ივლისი

29. სამხატვრო აკადემიის საფონდო კოლექციების შესაწავლა – სისტემატიზირება. პროგრამის “სამხატვრო აკადემიის საფონდო კოლექციების შესაწავლა – რეაბილიტაცია და პოპულარიზაცია” შემადგენელი ნაწილი. 2009 წ. ოქტომბრიდან.

30. „ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების გამოფენა“. თსსა-ს დიდი საგამოფენო დარბაზი.2011 წ. 7 – 14 დეკემბერი.

31. საქართველოს განათლების საერთაშორისო კვირეული. „ექსპო ჯორჯია“-2012 წ. თებერვალი

32. „ თსსა-ის მსოფლიო შედევრების ასლების ლაბორატორიაში დაცული არტეფაქტების გამოფენა“ დიდი საგამოფენო დარბაზი. იდეისა და პროექტის ავტორი(ნ. ფოფხაძესთან თანაავტორობით).2012წ. 9 – 16 მარტი.

33. „ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორია“. მონოგრაფია, ალბომითა და სრული სამეცნიერო აპარატით. 2010 წლიდან.

34. სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საფონდო კოლექციების დროებითი გადაადგილების სამუშაოები . მუშა ჯგუფის წევრი - 2012 წ. მაისი - აგვისტო.

35. სამხატვრო აკადემიის სამუზეუმო კოლექციების ფორმირება (აღწერა, ფოტოფიქსაცია, სააღრიცხვო ბარათები, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება)

II საველე-არქეოლოგიური საქმიანობა

ისტორიული დიდი მცხეთის არქეოლოგიური კვლევის მონაწილე: სამთავროს სამაროვანი. 1976-1978, 1998-2001, 2003, 2006 წ.წ.

37ღართისკარის სასიმაგრო კომპლექსი. 1978-79 წ.წ.

38მუხათგვერდი. I. ადრეშუასაუკუნეების სამაროვანი. 1976წ.

39სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორია. 1978, 1980 წ.წ.

40სარკინის ანტიკური ხანის ნაქალაქარი. 1980 წ.

41ავჭალისკარის ადრეშუასაუკუნეების სამაროვანი. 1979-80 წ.წ.

42წიწამურის ადრეშუასაუკუნეების სამაროვანი. 1980 წ.

43“ანტიოქიის” უბანი. 1998 წ.

44ნარეკვავის ადრე-რკინის ხანის სამაროვანი. 1998-2001 წ.წ.

45მცხეთისგორის სადაზვერვო-საკონტროლო გათხრები. ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2006 წ.

46წიწამურის ველზე სადაზვერვო-გადარჩენითი გათხრები, 2006 წ.

47სამთავროს ველზე ახალმშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრები. ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2008 წ.

48ჩაილურის ციხეზე (საგარეჯოს რაიონი) არქეოლოგიური გათხრები ექსპედიციის ხელმძღვანელი. 2009-2010 წ.

49აკც-ის ზადენგორის დამოუკიდებელი რაზმის ხელმძღვანელი. 1981-1985 წ.წ

50. სომიწოს (ონის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახლის ეკლესიის შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი (საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთობლივი პროექტი— 2010 წ.

51.ნიკორწმინდის კათედრალის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში- არქეოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი-2011 წ. ივლისი-სექტემბერი

52. ღების ღუროიანი სახლის სარეაბილიტაციო პროექტი. წინასწარულიარქეოლოგიური დასკვნა. 2011 წ. სექტემბერი

53. დარყის (საჩხერის მუნიციპალიტეტი) დარბაზული ეკლესიის წინასწარული შესწავლის პროექტი. წინასწარული არქეოლოგიური დასკვნა. 2012 წ. აპრილი

54. კვარშას (ასპინძის მუნიციპალიტეტი) დარბაზული ეკლესიის სარეაბილიტაციო პროექტი. წინასწარული არქეოლოგიური დასკვნა. 2012 წ. აპრილი, მაისი

I. გამოქვეყნებული ნაშრომები:

1. “თომა მეწოფელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისთვის” – თსუ ისტორიის ფ-ტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი 1975;
2. სამარხ ნაგებობათა ახალი სახეობა მცხეთიდან. საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1979 წ. ტ. 93; №2;
3. ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის ახალი თარიღი. საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1980 წ. ტ. 99; №1;
4. ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან (თ. სურგულაძესა და მ. ძნელაძესთან თანაავტორობით). საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1981 წ. ტ. 101; №3;
5. ქრისტიანობის ადრეული ეტაპი საქართველოში. ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი, 1981;
6. თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. ახალგაზრდა მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნეთა III რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი, 1981;
7. მცხეთა. 1976-1979 წ.წ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ.VI, თბილისი, 1982 (ავტორთა კოლექტივი);

8. თიხის ფილასამარხების გავრცელების საკითხისათვის. “მაცნე”. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის “ისტორიის...“ სერია. თბილისი, 1982, №3;
9. საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან. ძეგლის მეგობარი. №62. თბილისი, 1982;
10. ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში. “მნათობი”. 1982, №6;
11. ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება საქართველოში (წერილობითი წყაროებისა და სამარხეული ძეგლების მიხედვით). “სკოლა და ცხოვრება”, 1986;
12. ახალი არმაზის ადრექრისტიანული დროის სამაროვანი. საქართველოს მეცნ. აკად. “მოამბე” თბილისი, 1987;
13. დიდი მცხეთა, 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. (ავტორთა კოლექტივი). მცხეთა. ტ. IX. თბილისი 1989;
14. დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ. IX. თბილისი 1989 (ავტორთა კოლექტივი);
15. ვერცხლის თასები ცხენისა და ათაშდანის გამოსახულებით. აკად. გიორგი ჩუბინიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი. 1985;
16. Работы Заденгорского отряда (Месхет-Джавახетская экспедиция)ю ПАИ в 1984-1985 г.г. Тбилиси 1987;
17. ქართლის პიტიახშთა არმაზისხევის სამაროვანი (დაკრძალვის წესების გააზრების ახლებური ცდა). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. V ტ. თბილისი 1998;
18. არქეოლოგიური გათხრები “ანტიოქიის” უბანზე (ა. აბუთიძესა და ნ. ღლონტთან თანაავტორობით). კრებული: მაი-ს 1998 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. თბილისი 1999;
19. ქართლის სამეფოს ქრისტიანობაზე მოქცევა (რეალურ-ისტორიული და მხატვრულ-ლიტერატურული ქარგა). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. VI ტ. თბილისი 1999;
20. “დიდი მცხეთა და უბანნი მისნი” (ნ. მაისურაშვილთან თანაავტორობით). ძეგლის მეგობარი. №2 (105) თბილისი, 1999;
21. ქართული კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი საქართველოდან (აკად. ა.აფაქიძესთან თანაავტორობით). კულტურის ისტორიის საკითხები. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. (მე-2 რესპუბლიკური კონფერენციის მასალები) VII ტ. თბილისი 1999;
22. ებრაული ეთნოსი ქართლის სამეფოში (წყაროებისა და ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კულტურის ისტორიის კათედრის შრომები. მე-13 ტ. თბილისი 2002;
23. საქართველო. კულტურა. ისტორია. საქართველო სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კატალოგი. შემდგენელი და პასუხისმგებელი რედაქტორი. მოსკოვი 2000;
24. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან (ალბომი). მ. მოწინისკისთან თანაავტორობით. შესავალი წერილი – რუსულ ენაზე; ალბომი – ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე. მოსკოვი 2001 წ.
25. Храм святого Великомученика и Победоносца Георгия в Грузинах. Краткая история, к 250 летию храма Великомученика и Победоносца Георгия в Москве Москва 2000 г.

26. Исторические раритеты. Культурно-исторические ценности из Сакартвело в странах зарубежья. Альманах «Иммигрант» №1 Москва 2000 г.
27. ბრინჯაოს ქართული ჭვირული ბალოების დანიშნულების შესახებ. აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნების II სამეცნიერო სერიის მასალები. თბილისი. 2001 წ.
28. Археологические исследования в древней столице Грузии – Мцхета (соавтор); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კავკასიის არქეოლოგია (IV) და ეთნოლოგია (III)” მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული. თბილისი 2002 წ.
29. Еврейская диаспора и раннехристианские общины на территории Великой Мцхета. საერთაშორისო კონფერენცია “ისტორიული წყაროების შესწავლის აქტუალური პრობლემები: თეორიული, მეთოდოლოგიური და კომპიუტერული ასპექტები”. თბილისი, 2002 წ. კრებ. “Caucasus” თბილისი 2003 წ.
30. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ოქროს ქიმიური შემადგენლობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი “მეცნიერება და ტექნოლოგიები” №10-12; თბილისი (თანაავტორობით). 2002 წ.
31. გვიანანტიკური ეპოქის საყურეები სამთავროს სამაროვნიდან. ქართულ-რუსული პარალელური ტექსტები. აკად. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის შრომები. XIV. თბილისი 2003 წ. (ელ. ნოვიკოვასთან თანაავტორობით).
32. სამგლოვიარო-სარიტუალო ნივთები დიდი მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან. თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრისა და დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თბილისი, 2003 წ. (თანაავტორობით).
33. აპოლონის ტაძარი მცხეთაში (საკითხის დასმის წესით). იქვე.
34. სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II-IV ს.ს. არქეოლოგიური ძეგლები. სერია “დიდი მცხეთა და ქვეყანა მისი”. I. ქართულ-ინგლისური პარალელური ტექსტები (ნუგზარ ღლონტთან თანაავტორობით). თბილისი 2005.
35. აღმოაჩინე მინა ქართული. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ს.ს. “მინის” ერთობლივი გამოფენის კატალოგი. ქართულ-ინგლისურ-თურქული პარალელური ტექსტები (ნუგზარ ღლონტთან თანაავტორობით). თბილისი, 2005 წ.
36. Миссионерская деятельность Св. Нино в столице картлийского царства Великой Мцхета. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
37. Ранний этап христианства в Грузии - Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
38. Древнейшие религиозные верования в Грузии. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
39. აპოლონის ტაძარი დიდ მცხეთაში. ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი 2008.
40. The Apollo temple in didi Mtskheta “Apollo-Sun”. Vakhtang Beridze 1st international symposium of Georgian culture. Georgian art in the context of European and Asian cultures. Proceedings. Tbilisi 2008.
41. ქართლის სამეფოს და სასანიდური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ. III ს-ის მე-2 ნახევარი).

- ჯურხა ნადირაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. თბილისი 2009
42. ქართლის სამეფოს და სასანიდური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ.III ს-ის მე-2 ნახევარი). ჯურხა ნადირაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. საიუბილეო კრებული. თბილისი 2010


IV. პედაგოგიური საქმიანობა

1. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. სრული სალექციო კურსი. საქართველოს ზოოგეტერინალური ინსტიტუტი 1989-1991 წწ.
2. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი 1989-1991 წწ.
3. ხელოვნების დამოუკიდებელი სკოლა. არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის საფუძვლები. 1990-1991 წწ.
4. არქეოლოგიის ზოგადი კურსი. ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 2007 - 2010
5. არქეოლოგიის ზოგადი კურსი. ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009 წ.

გადახურვის კონსტრუქციის ჭერის
განშლა
(განათების სისტემის დატანით)
მ. 1:50

ლითონის კვადრატული
მილი

მინა-პაკეტი გადაკრული
დარტყმა-გამძლე ფირით




პირობითი აღნიშვნები:

- Track light სისტემის განათების რელსი
- Track light სისტემის სანათი

შეასრულა: გ. ტრაპაიძე


აბანოს კონსერვაციის
გეგმა
მ. 1:50



შენიშვნა: ბლოკით ნაშენები კედლის დემონტაჟისა და ძეგლის
გაწმენდის შემდეგ ძეგლის გარე კედლები ამოიტკეპნოს თიხით.

შეასრულა: გ. ტრაპაიძე

აბანოს გეგმა მ. 1:50




პირობითი აღნიშვნები:

- ბლოკის კედელი
- აბანოს კედელი
- ბორდიური
- თლილი ქვის იატაკი

შეასრულა: გ. ტრაპაიძე


აბანოს კონსერვაციის გეგმა განათების სისტემის დატანით მ. 1:50



- მოსახსნელი ნაწილი
- გასაწმენდი და საკონსერვაციო ნაწილი
- გასაწმენდი და საკონსერვაციო კედელი
- მიწაში ჩაანკერებული განათება

შეასრულა: გ. ტრაპაიძე

სიტუაციური გეგმა
მ. 1:1000



GPS კოორდინატები
N41°55.360'
E042°00.330'
სიმაღლე ზღვის დონიდან: 92 მ.

შეასრულა: თ. მელიოვა

ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო წინადადება

ძეგლი მდებარეობს გურიის რაიონში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ქალაქის ცენტრალური მოედანზე მდებარე იუსტიციის სახლთან, ჭავჭავაძის ქუჩაზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია: აგური, რიყის ქვა, კირის დუღაბი, ბაზალტის ფილები.

ძეგლის გაბარიტული ზომებია: 9,5x15;

ძეგლის მდებარეობა ზღვის დონიდან: 92მ;

GPS კოორდინატები: N 41° 55. 360'; E 042° 00.330'.

❖ ოზურგეთის ადრეშუასაუკუნეების აბანო - წინასწარული არქეოლოგიური დასკვნა

დამხრობა - N - S გრძივი ღერძი, მცირეოდენი, ორიოდ გრადუსის გადახრით (სურ.1)

ანაზომები - N-S (მაქს.) -14,85; O-W (მაქს.) – 9,5

სამშენებლო მასალა - ბიზანტიური აგური (პლინფები), რიყის ქვა; ქვიშაქვის ფილები; მდინარეული ქვიშა, კირი, ჰიდრავლიკური ხსნარი.

არქიტექტონიკა (არქეოლოგიური შესწავლილობის ამჟამინდელი სტადიიდან გამომდინარე). აბანო ორსართულიანია: 1-ლი სართული საცეცხლე და ჰიპოკაუსტი; მე-2 სართული საკუთრივ აბანო, ანფილადურად განლაგებული განყოფილებებით: I. ფრიგიდარიუმი, რომელიც თავის მხრივ ორი განყოფილებისაგან ლავაკრისა და აპოდიტერიუმისაგან შედგებოდა; II. ტეპიდარიუმი; III. კალდარიუმი (სურ. 2-6).

აგების დრო - საქართველოში გათხრილი სხვადასხვა დროის ოცზე მეტი აბანოდან, აგების დრო უმეტესწილად განსაზღვრულია კონტექსტით, იშვიათად არქიტექტურული რაგვარობით ან თანმდევი არეგაქტებით. საკვლევი აბანოს შემთხვევაში ვითარება საკმაოდ რთულადაა, რადგან ერთის მხრივ გვაქვს ადრეული პერიოდის სამშენებლო მასალა (პლინფები, კოლექტორის მილები, იატაკში ჩაღესილი „გარკვეულწილად არქაული იერის ქვევრის ნატეხები“); მეორეს მხრივ, გვიანი შუასაუკუნეების ნივთები (მაგ.; თურქული ყალიონები).

და მაინც, არქეოლოგიური ანგარიშის ავტორებისაგან განსხვავებით, რომლებიც აღნიშნულ ძეგლს წინასწარულად გვიანიშუასაუკუნეებით ათარიღებენ [გვ. 10], ძალზედ ფრთხილი ვარაუდის სახით ვიტყვი, რომ მისი აგების დრო შესაძლოა განისაზღვროს ადრეშუასაუკუნეებით; მომეტებულად, მისი საფინალო ეტაპით. რაც შეეხება აღმოჩენილ გვიანი შუასაუკუნეების მასალას, აქ სხვა რიგის მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ჩემი სამუშაო თეზის სასარგებლოდ მეტყველებს ამონარიდი იმავე ანგარიშიდან (სტილი დაცულია): „თუ გავითვალისწინებთ რეგიონში ადრე შესწავლილ ამ ტიპის ძეგლებს (შუხუთი, ციხისძირი, ომფარეთი, ჩონჩხათ - მოედანი) ჩვენს მიერ გათხრილი ობიექტი, არსებული მასალების საფუძველზე, ყველაზე გვიანდელია **თუმცა ანფილადური წყობა, სამშენებლო მასალა, მშენებლობის ტექნიკა გვიანრომაულ აბანოების მშენებლობის ტრადიციებიდან ღებულობს საფუძველს (?! - თ.ბ.). სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენს მიერ შესწავლილი აბანოს მნიშვნელობა**“ [გვ. 12](ხაზი ჩემია- თ.ბ.).

ორიოდე სიტყვით აღმოჩენილი არტეფაქტების შესახებ. სამშენებლო მასალის გარდა, აბანოს ინტერიერში აღმოჩნდა ისეთი ნივთები თუ მათი ნაწილები, რომ მათი დაკავშირება აბანოსთან რბილად რომ ვთქვათ, გაჭირდებოდა (მაგ. ხისტარიანი რკინის კავი, ქვევრების ნაწილები...[გვ.10].

ტიპოლოგია - შესწავლილობის ამ ეტაპზე გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეიძლება, რადგან ბოლომდე არაა გამოკვლეული მთელი სივრცე; ოზურგეთის აბანო განსხვავდება ისეთი ძეგლებიდან, როგორებიცაა არმაზისხევის [1,147-160] ბიჭვინთის[2,145-156], შუხუთის[3], ნოქალაქევის სამეფო[4,97-109], ნოსირის[4,114-121], ძალისის[5,36-64] და სხვა; თუმცა, გარკვეული მსგავსება ჩანს არმაზციხის 1998 წ. აღმოჩენილ N 3[6, 11-15]], ნოქალაქევის საერო[4,109-113] და ნოჯიხევის აბანოებთან[4,122-125]; ცხადია, იმ პირობით, თუ შემდგომმა საველე კვლევამ კორექტივები არ შეიტანა ოზურგეთის აბანოს გეგმარებაში, რომლის ალბათობა პრინციპში არსებობს.

არქეოლოგიური კვლევის გაგრძელება - დასრულების აუცილებლობა. მიმაჩნია, რომ საკონსერვაციო თუ ნებისმიერი სახის სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებელია გაგრძელდეს სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევა, რადგან დღეის ვითარებით, ბევრი რამ ამ ძეგლთან მიმართებაში ბუნდოვანია; კერძოდ, გასარკვევია (რიგ შემთხვევაში დასაზუსტებელია) ნაგებობის ამა თუ იმ ნაწილის ზუსტი აღნაგობა (მაგ., გათბობის სისტემის), ფუნქცია, მდებარეობა (წყალმომარაგება, შესასვლელის(-ების), და ზოგადად, ნაგებობის გეგმა და საზღვრები.

გათხრები გასაგრძელებელია ბლოკით ნაგები დროებითი დამცავის გარეთ ოთხივე მიმართულებით(სურ. 7-8), ცენტრალურ და ნაგებობის NW მონაკვეთებში.

გათხრები განსაკუთრებით შედეგიანი იქნება O და W მიმართულებებით; ფრთხილი სამუშაო თეზის სახით ვიტყვი, რომ ნაგებობის ორი მნიშვნელოვანი სეგმენტი სწორედ ამ მომაკვეთებშია საძიებელი; პერსპექტიულია S მიმართულებით კვლევა.

გამოსაკვლევია ჰიპოკაუსტი -- მრჩება შთაბეჭდილება, რომ აქ შესაძლოა დამატებითი ინფორმაციის მიღება (თუნდაც გათბობისა და სავენტრაციო სისტემის შესახებ).

არქეოლოგიური კვლევის გაგრძელება-დასრულების აუცილებლობაზე მეტყველებს თუნდაც ამონარიდი 2012 წლის საველე კამპანიისადმი მიძღვნილი ანგარიშიდან: “2012 წლის 26 მარტს ზემოაღნიშნული მოედნის განახლებასა და იუსტიციის სახლის მშენებლობასთან

დაკავშირებით წინასწარულ პრეზენტაციაზე ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრმა მოითხოვა იქ არსებული ძველი აბანოს დაჩქარებული ტემპებით გათხრა... მეხუთე განყოფილების - საცეცხლეს (პრეფერნიუმი) გათხრა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ის სცილდებოდა არქეოლოგიურ კომისიაზე დამტკიცებული პროექტით შესასწავლი ნაკვეთის ფართობს“ და შემდეგ, „საკვლევი თხრილის გარეთ, სამხრეთ ნაწილში, სავარაუდოდ იკითხება საცეცხლურის - პრეფერნიუმის ნაშთი, რომლის გათხრა პროექტის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული; იგივე შეიძლება ითქვას აბანოს აღმოსავლეთ მხარეზეც, რომელიც გასათხრელი ნაკვეთის გარეთ მდებარეობს“ [ზურაბ მახარაძე. არქეოლოგიური კვლევის სრული ანგარიში, გვ. 6; 12]

სამომავლოდ დაგეგმილი საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელების დაწყებამდე, უპირობოდ უნდა იქნას დასრულებული ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი შემდგომი დაზიანება.

ძეგლის დამცავი გადასახურავი კონსტრუქციის გამართვა წინასწარული არქეოლოგიური კვლევის ჩატარების გარეშე, შესაძლოა გახდეს ძეგლის გამოუკვლეველი ელემენტების დაზიანება - განადგურების მიზეზი.

21.04.2013

დოქტორი თ. ბიბილური



სურ. 1



სურ. 2



სურ.3




სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

ბიბლიოგრაფია

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. არამაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა. I. თბილისი. 1955.
2. თოლორდავა ვ. ბიჭვინტის ნაქალაქარის IV უბანი. დიდი პიტიუნტი. II. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. თბილისი. გამ. „მეცნიერება“. 1977 წ.
3. Закарая П.П., Леквиндзе В.В. Археологические раскопки в Шухути. „მაცნე“. 1966 წ. N1
4. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხეგოჯი - არქეოპოლისი - ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბილისი. გამ. „მეცნიერება“. 1991
5. ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში. თბილისი. გამ. „მეცნიერება“. 1981
6. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., გიუნაშვილი გ., ლლონტი ნ. არმაზციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ანგარიში. 1998 საველე - არქეოლოგიური კვლევა - ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია მიძღვნილი პროფ. ალექსანდრე (სანდრო) კალანდაძის 90 წლისთავისადმი. თბილისი. 1999

❖ ძეგლის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები დაცვის მეთოდოლოგიისთვის.

ძეგლი მდებარეობს ქ. ოზურგეთის ცენტრში, იუსტიციის სახლისა და ქ. ოზურგეთის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე. შემორჩენილია აბანოს მცირე ფრაგმენტები გეგმის დონეზე – კედლები დახლოებით 20-40სმ სიმაღლეზე, ცხელი წყლის აუზის შემომსაზღვრელი იატაკი თლილი ქვის ფილებით, გათბობის იატაკქვეშა კონსტრუქციები. ამ ფრაგმენტების ზედა დონე დღევანდელი მიწის დონის ნიშნულიდან დაახლოებით 70 – 130 სმ-ით ქვემოთაა. (იხ. დანართი) (სურ.1)



სურ. 1

შემორჩენილი ფრაგმენტების სამშენებლო მასალად ძირითადად გამოყენებულია აგური, ზოგიერთ ადგილას კი რიყის ქვა. შემაკავშირებელი ორივე შემთხვევაში კირის დუღაბია. შთაბეჭდილება რჩება, რომ რიყის ქვისა და კირის ნაერთი გვიან პერიოდში (სავარაუდოდ XXს. 50-იანი წწ.) საკონსერვაციო ფენადაა გამოყენებული. ამ ნაერთის მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში კირი გაფხვიერებულია. აგურის კედლების მდგომარეობა შედარებით მძიმეა. ძირითადად გამოიყოფა ორი პრობლემა:

1. ნესტი და მისგან გამოწვეული ბიოლოგიური აგენტები: სტრუქტურა დანესტიანებულია, რაც მის დასუსტებას იწვევს. ძირითადი პრობლემა იატაკქვეშა სისტემაა. იგი თითქმის სრულადაა დანესტიანებული და შესაბამისად გავრცელებულია ბიოლოგიური საფარი (ხავსი, ლიქენები, მცირე ზომის ბალახი..) (სურ. 2-4)



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

2. კონსტრუქციის მუდმივი სინესტე იწვევს სამშენებლო მასალის შესუსტებას რასაც მოყვება კონსტრუქციული პრობლემები. ცხელი წყლის აბანოს იატაკის ღამჯერ სვეტზე განვითარებულია ბზარი, რომელიც გრძელდება ქვის ფილაზეც (სურ. 5) სტრუქტურის სხვა კონსტრუქციული პრობლემა ჯერჯერობით არ ჩანს.



სურ. 5

გარდა ამისა, 2012 წელს დაცვის მიზნით ბლოკითა და ცემენტით შემოშენებული კედელი უშუალოდ ეხება დასაცავ არქეოლოგიურ ძეგლს. დამცავი ბარიერის მშენებლობისას დასხმული ცემენტი კი ჯერ კიდევ კედლების ფრაგმენტებზეა დარჩენილი. ძეგლი დანაგვიანებულია სამშენებლო ნარჩენებით. (სურ. 6-7)




სურ. 6



სურ. 7

ზოგ ადგილას მიწის ნაწილი მოსაჭრელია.

დამცავი კედლის მომიჯნავედ განლაგებულია კომუნიკაციების შემკრები ჭა, რომლიდანაც აღმოსავლეთის მიმართულებით გამოსულია გამანაწილებელი მიწები, ეს მიწები კვეთს ბლოკის კედელსა და არქეოლოგიის ნაწილს, რომელიც ამ დამცავი კედლის გარეთაა დარჩენილი. (სურ. 8-10)



სურ. 9^



სურ.8



სურ.10 >

რეკომენდაციები

1. პირველ რიგში ძველი საჭიროებს გაწმენდას, და დაზუსტებას რათა გამოჩდეს მისი სახე: სავარაუდოა კედლები გრძელდებოდეს. ასევე გასაწმედია იატაკი, რომ მოხდეს მისი ნიშნულის დაფიქსირება.
2. ძველის გაწმენდისა და დეტალური დაფიქსირების შემდეგ უნდა მოხდეს სტრუქტურის სრულყოფილი კონსერვაცია:
 - მოშორდეს ძველი საკონსერვაციო ფენა;
 - მოიხსნას სინესტის პრობლემა – მოეწყოს სათანადო წყალგაღამყვანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ტერიტორიიდან მოშორებას.
 - ძველი დამუშავდეს სპეციალური ხსნარით, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიური აგენტების მოშორებას.
 - მოხდეს ბზარ(ებ)ის გამგრება და შევსება ხსნარით.
3. უნდა მოხდეს კომუნიკაციების ჭისა და მიღების ადგილმდებარეობის შეცვლა, ის უნდა მოშორდეს არქეოლოგიურ ძეგლს.
4. უნდა მოიხსნას 2012 წელს არქეოლოგიის დაცვის მიზნით ამოშენებული ბლოკის კედლი.
5. ძველის პერიმეტრზე მოეწყოს მიწის ჩამოშლისაგან დამცავი ახალი კედელი თიხატკეპნილით.
6. მოეწყოს გადახურვის მსუბუქი კონსტრუქცია, ვიზიტორთა ბილიკი და შესაბამისის ინფრასტრუქტურა რომელიც ძეგლს გახდის პრეზენტაბელურს.

უშუალოდ ძეგლზე სამუშაოდ გამოყენებული უნდა იქნას არსებულ მასალასთან ფიზიკურად და ქიმიურად თავსებადი მასალები. ხოლო ახალი მოცულობა უნდა იყოს შექცევადი და შექმნილი თანამედროვე მასალებისაგან რაც უზრუნველყოფს მის შეცნობადობას. ხოლო ფორმა პასუხობდეს არსებულ განაშენიანებას. კონსტრუქცია უნდა იყოს მოდულური და მარტივად დასამზადებელი, რათა არქეოლოგიური კვლევის მოცულობის გაზრდასთან ერთად შეიძლებოდეს მისი განვრცობა.

❖ საკონკურსო წინადადების დასაბუთება

ჩვენი საკონკურსო წინადადების მიხედვით გათვალისწინებულია არქეოლოგიური ძეგლის კონსერვაცია, ხოლო შემდგომი დაცვისა და კეთილმოწყობის მიზნით ახალი კონსტრუქციის მოწყობა.

• საკონსერვაციო ნაწილი

პირველ რიგში უნდა მოხდეს ძეგლის გაწმენდა.

გაწმენდისა და დეტალური დაფიქსირების შემდეგ კი მოხდეს სტრუქტურის სრულყოფილი კონსერვაცია:

- მოშორდეს ძველი საკონსერვაციო ფენა;
- მოიხსნას სინესტის პრობლემა – მოეწყოს სათანადო წყალგადამყვანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ტერიტორიიდან მოშორებას.
- ძეგლი დამუშავდეს სპეციალური ხსნარით, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიური აგენტების მოშორებას.
- მოხდეს ბზარ(ებ)ის გამაგრება და შევსება ხსნარით.

უნდა მოხდეს საკომუნიკაციო ჭისა და მიწების ადგილმდებარეობის შეცვლა, ის უნდა მოშორდეს არქეოლოგიურ ძეგლს.

უნდა მოიხსნას 2012 წელს არქეოლოგიის დაცვის მიზნით ამოშენებული ბლოკის კედელი.

ძეგლის პერიმეტრზე მოეწყოს მიწის ჩამოშლისაგან დამცავი ახალი კედელი თიხატყეპნილით. ასევე მოეწყოს სადრენაჟო სისტემა, რომელზეც ზემოდან მშრალად განლაგდება ტრავერტინის ფილები (1.20მ სიგანეზე), და ეს არე იქცევა ვიზიტორთა ბილიკად. მის გასწვრივ უსაფრთხოებისათვის მოეწყოს მინის მოაჯირი.

ძეგლზე სამუშაოდ გამოყენებული უნდა იქნას არსებულ მასალასთან ფიზიკურად და ქიმიურად თავსებადი მასალები.

• ახალი მოცულობა

ახალი მოცულობა ძირითადად ითვალისწინებს გადახურვის კონსტრუქციას, რაც არქეოლოგიურ ძეგლსა და ვიზიტორთათვის განკუთვნილ სივრცეს დაიცავს ატმოსფერული ნალექებისგან. მოცულობა შექმნილია თანამედროვე მასალებისაგან რაც უზრუნველყოფს მის სიმსუბუქესა და განსაზღვრავს იერ-სახეს; ფორმა შეესაბამება ირგვლივ არსებულ განაშენიანებას და ორგანულად ჯდება მოედნის სტრუქტურაში. კონსტრუქცია მოდულურია და მარტივად დასამზადებელი; არქეოლოგიური ძეგლის შემდგომი გათხრის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი განვრცობა. ამ სახით შექმნილი მოცულობა პასუხობს როგორც კონსერვაციის, ასევე არქიტექტურის თანამედროვე პრინციპებს. ამგვარი კონსტრუქციები არქეოლოგიური ძეგლების დაცვისა და პრეზენტაციისთვის მრავალ ქვეყანაშია გამოყენებული.

ვიზიტორთა ბილიკის გასწვრივ მისგან 1-1.5მ-ის დაშორებით განლაგებულია 8 ცალკე მდგომი ლითონის სვეტი, რომელზეც ვანტური სისტემით, სამ სეგმენტად დაკიდულია გადახურვის კონსტრუქცია. ეს კონსტრუქცია დაყოფილია სეგმენტებად და განლაგებულია სხვადასხვა დონეზე. მისი შესრულება გათვალისწინებულია ლითონით(რკინა ან დურალუმინი) და მინით ან სინთეტური პოლიპროპილენის მსუბუქი ფილით. ეს მოცულობა იქნება ვიზუალურად მსუბუქი და შუქის გამტარი, რაც უზრუნველყოფს ძეგლის დღის განათებას. გადახურვა იქნება ვიზიტორთა ბილიკიდან 2.20-2.50 მ-ის სიმაღლეზე. ძეგლის ძირითადი განათება უნდა მოხდეს გადახურვის კონსტრუქციიდან. ამისათვის გამოყენებული იქნება თანამედროვე - Outdoor Track Lighting სისტემა. ეს სისტემა იწყობა რელსის, სანათებისა და კონექტორების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ძეგლის სათანადო განათებისთვის საჭირო რაოდენობის სანათთა განლაგებას და მათი მიმართულების კონტროლს. ხოლო საჭიროების შემთხვევაში განათებული აქცენტების შეტანისათვის განსაზღვრულია მიწაზე(კედლის კუთხეებში) და დამცავ კედლებზე განლაგებული სანათები.

პროექტირების ეტაპზე, ძეგლის გაწმენდის შემდეგ, დასაშვებია აღნიშნული ზომების ცვლილებები.

არქიტექტორი

ნოდარ ამაშუკელი

კონსტრუქტორი

ოთარ ჩაკვეტაძე

განათების სისტემის მასალები

გამოსაყენებელი მასალები:

სანათი (Outdoor Track Lighting) სისტემის.

რელსი (Outdoor Track Lighting) სისტემის.

კონექტორი (Outdoor Track Lighting) სისტემის.

სანათი ვარიანტი I



Cylinder Outdoor Track Head

სანათი ვარიანტი II



Round PAR36 Outdoor Track Head

რელსი



კონექტორი



❖ საკონკურსო წინადადების დასაბუთება

ჩვენი საკონკურსო წინადადების მიხედვით გათვალისწინებულია არქეოლოგიური ძეგლის კონსერვაცია, ხოლო შემდგომი დაცვისა და კეთილმოწყობის მიზნით ახალი კონსტრუქციის მოწყობა.

• საკონსერვაციო ნაწილი

პირველ რიგში უნდა მოხდეს ძეგლის გაწმენდა.

გაწმენდისა და დეტლური დაფიქსირების შემდეგ კი მოხდეს სტრუქტურის სრულყოფილი კონსერვაცია:

- მოშორდეს ძველი საკონსერვაციო ფენა;
- მოიხსნას სინესტის პრობლემა – მოეწყოს სათანადო წყალგადამყვანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ტერიტორიიდან მოშორებას.
- ძეგლი დამუშავდეს სპეციალური ხსნარით, რაც უზრუნველყოფს ბიოლოგიური აგენტების მოშორებას.
- მოხდეს ბზარ(ებ)ის გამაგრება და შევსება ხსნარით.

უნდა მოხდეს საკომუნიკაციო ჭისა და მიწების ადგილმდებარეობის შეცვლა, ის უნდა მოშორდეს არქეოლოგიურ ძეგლს.

უნდა მოიხსნას 2012 წელს არქეოლოგიის დაცვის მიზნით ამოშენებული ბლოკის კედელი.

ძეგლის პერიმეტრზე მოეწყოს მიწის ჩამოშლისაგან დამცავი ახალი კედელი თიხატკეპნილით. ასევე მოეწყოს სადრენაჟო სისტემა, რომელზეც ზემოდან მშრალად განლაგდება ტრავერტინის ფილები (120მ სიგანეზე), და ეს არე იქცევა ვიზიტორთა ბილიკად. მის გასწვრივ უსაფრთხოებისათვის მოეწყოს მინის მოაჯირი.

ძეგლზე სამუშაოდ გამოყენებული უნდა იქნას არსებულ მასალასთან ფიზიკურად და ქიმიურად თავსებადი მასალები.

• ახალი მოცულობა

ახალი მოცულობა ძირითადად ითვალისწინებს გადახურვის კონსტრუქციას, რაც არქეოლოგიურ ძეგლსა და ვიზიტორთათვის განკუთვნილ სივრცეს დაიცავს ატმოსფერული ნალექებისგან. მოცულობა შექმნილია თანამედროვე მასალებისაგან რაც უზრუნველყოფს მის სიმსუბუქესა და განსაზღვრავს იერ-სახეს; ფორმა შეესაბამება ირგვლივ არსებულ განაშენიანებას და ორგანულად ჯდება მოედნის სტრუქტურაში. კონსტრუქცია მოდულურია და მარტივად დასამზადებელი; არქეოლოგიური ძეგლის შემდგომი გათხრის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი განვრცობა. ამ სახით შექმნილი მოცულობა პასუხობს როგორც კონსერვაციის, ასევე არქიტექტურის თანამედროვე პრინციპებს. ამგვარი კონსტრუქციები არქეოლოგიური ძეგლების დაცვისა და პრეზენტაციისთვის მრავალ ქვეყანაშია გამოყენებული.

ვიზიტორთა ბილიკის გასწვრივ მისგან 1-1.5მ-ის დაშორებით განლაგებულია 8 ცალკე მდგომი ლითონის სვეტი, რომელზეც ვანტური სისტემით, სამ სეგმენტად დაკიდულია გადახურვის კონსტრუქცია. ეს კონსტრუქცია დაყოფილია სეგმენტებად და განლაგებულია სხვადასხვა დონეზე. მისი შესრულება გათვალისწინებულია ლითონით(რკინა ან დურალუმიანი) და მინით ან სინთეტური პოლიპროპილენის მსუბუქი ფილით. ეს მოცულობა იქნება ვიზუალურად მსუბუქი და შუქის გამტარი, რაც უზრუნველყოფს ძეგლის დღის განათებას. გადახურვა იქნება ვიზიტორთა ბილიკიდან 2.20-2.50 მ-ის სიმაღლეზე. ძეგლის ძირითადი განათება უნდა მოხდეს გადახურვის კონსტრუქციიდან. ამისათვის გამოყენებული იქნება თანამედროვე - Outdoor Track Lighting სისტემა. ეს სისტემა იწყობა რელსის, სანათებისა და კონექტორების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ძეგლის სათანადო განათებისთვის საჭირო რაოდენობის სანათთა განლაგებას და მათი მიმართულების კონტროლს. ხოლო საჭიროების შემთხვევაში განათებული აქცენტების შეტანისათვის განსაზღვრულია მიწაზე(კედლის კუთხეებში) და დამცავ კედლებზე განლაგებული სანათები.

პროექტირების ეტაპზე, ძეგლის გაწმენდის შემდეგ, დასაშვებია აღნიშნული ზომების ცვლილებები.


არქიტექტორი





ნოდარ ამაშუკელი


კონსტრუქტორი


ოთარ ჩაკვეტაძე





















ღამოს განათება



ღამოს განათების დეტალი

